



MES 2 22 0001492232



22/11/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 08.11.2022

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:10სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- **გოდერძიბუჩაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- **ანზორბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
- **დავითტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
- **ეკატერინეშაჰიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- **ეკატერინენაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
- **ერეკლესტახიშვილი** - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
- **გურანდაჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის: პროფესორი.
- **ირინაგველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- **ლევანმოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში

- **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- **ნათიაზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;
- **ნინოჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- **თეამჭედლოური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- **ირინალოზიანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- **დავითროჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	ანა ქოიავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	კახაბერ თავზარაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I-II
2	ირაკლი ნოსელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
3	არჩილ ჯანგირაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
4	ელენე ჟურავლიოვა	სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	III
5	არჩილ მაღალაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
6	თამარ ბარბაქაძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის	

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
7	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
8	მაგდა თორთლაძე	შპს კავკასიის	მედიცინის ფაკულტეტი - დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	IV
9	ლელა წიტაიშვილი	საერთაშორისო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	
10	მარინა გედევანიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	I,II
2	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	შალვა კვიციანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	შალვა მესხი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	შალვა კელაპტრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ვლადიმერ მარგველაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	ქეთევან ნანობაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.პირველისაკითხი : შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №77ა, 0171 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცლილება

✓ კი

თვითაცლილება განაცხადა- ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანმა და ირინა გველესიანმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 5 სექტემბერს. 1 სექტემბერს განხორციელდა წინა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება. 2021 წლის 1 სექტემბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან. განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ამასთან, ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც საბოლოო დასკვნაზე მუშაობის პროცესში გაზიარებული არ იქნა. თუმცა 5.1 სტანდარტის აღწერილობით ნაწილში დაზუსტდა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და დაემატა არგუმენტაცია.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს კომპიუტერულ ინჟინერიაზე (შესაბამისი ტერმინოლოგიური ჩანაცვლებით).
2. სწავლის შედეგების რუკა გაიწეროს ისე, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე განვითარდეს.
3. „კომპიუტერული ინჟინერიის“ პროგრამის თითოეული შედეგისათვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურები;
4. იმ სილაბუსებში, რომელიც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი რუკით გადის პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპეტენციაზე, გაიწეროს ეს კომპეტენციები და მეთოდები, რომლის საშუალებითაც განხორციელდება აღნიშნული შედეგის გაზომვა.
5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაზუსტდეს ჩასაბარებელი საგნებისა და ამ საგნებზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის თაობაზე ინფორმაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსად დაემატოს „დაპროგრამების ენა Python“, რომელიც ამ ეტაპზე შემოთავაზებულია არჩევით საგანთა ნუსხაში.
7. პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსს დაემატოს „ინფორმაციული უსაფრთხოების“ სასწავლო კურსი.
8. სასწავლო კურსს „სიგნალების დამუშავება“ წინაპირობად განესაზღვროს მათემატიკაც.
9. სასწავლო კურსს „სასიგნალო პროცესორები“ წინაპირობად განესაზღვროს ციფრული ტექნიკის საფუძვლების და პროგრამირების ცოდნა.
10. სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან მაგ. დაემატოს დავალებები, პრეზენტაციები და სხვა.
11. სასწავლო კურსებში: „დაპროგრამების საფუძვლები (C++)“, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „კომპიუტერის სტრუქტურული ორგანიზაცია“, „მიკროკონტროლერების დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „ფიზიკა I“, „ფიზიკა II“, „წრედთა თეორია I“, „დაპროგრამების ენა Python“ და სხვა, აისახოს შესაბამისი ლაბორატორიული მეცადინეობის თემატიკა;
12. შემუშავდეს „პრაქტიკის“ კომპონენტის სილაბუსი და დეტალურად გაიწეროს რა შემთხვევაში ჩაეთვლება დასაქმებისას შესრულებული სამუშაო სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში.
13. შემუშავდეს „საბაკალავრო პროექტის“ სილაბუსი ან არსებულ დოკუმენტში ჩაიწეროს საკონტაქტო და დამოუკიდებელი დატვირთვა, სასწავლო კურსის შედეგები, საკონტაქტო ლექციების თემატიკა და ა.შ.
14. დროულად განხორციელდეს სასწავლო ლაბორატორიების უზრუნველყოფა პროგრამული უზრუნველყოფით.
15. რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაფორმდეს ხელშეკრულებები/მემორანდუმები და ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას.
16. აუცილებელია საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის (National instruments) კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (Labview). ასევე აღიჭურვოს National instruments-ის მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტი.
17. წრედთა თეორიის ლაბორატორია აღიჭურვოს მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტით.
18. სასიგნალო პროცესორების ლაბორატორია აღიჭურვოს მინიმუმ ხუთი სამუშაო ბორდით.
19. დაწესებულებამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფისათვის დადგენილი მექანიზმების რეალურად გამოყენება და შესაბამისი მონაცემების შეგროვება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიიდან, შემდგომში კი მათი ანალიზი, ასევე დადარება პროგრამისათვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან და ანალიტიკის შედეგების გამოყენება შემდგომი გადაწყვეტილებების დაგეგმვისა და აღსრულებისათვის, პროგრამის განვითარების ფარგლებში.

20. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით დადგენილი მექანიზმების გამოყენებით, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვებისა და შეფასებების მიღება, აღნიშნული პროცესის კოორდინირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, პასუხისმგებელი პირების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის პირველი შედეგი „კომპლექსური საინჟინრო ამოცანების იდენტიფიცირება, ფორმულირება და გადაჭრა ფიზიკის, მათემატიკის, ინჟინერიის საფუძვლების გამოყენებით“ მიიღებს სახეს: „კომპიუტერული ინჟინერიის კომპლექსური ამოცანების იდენტიფიცირება, ფორმულირება და გადაჭრა ფიზიკის, მათემატიკის, ინჟინერიისა და ინფორმატიკის საფუძვლების გამოყენებით“ ასევე, შედეგი „საინჟინრო პროექტის გამოყენება კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, ასევე გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით“ მიიღებს სახეს „კომპიუტერული ინჟინერიის მეთოდების გამოყენება კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, ასევე გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ასევე, შედეგებს დაემატება „კომპიუტერული ინჟინერიის საბაზო ცოდნისა და ძირითადი მეთოდების, რაც მიმართულია ელექტრონული მოწყობილობების, კომპიუტერული სისტემების მომსახურების, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების ტექნიკური განხორციელებისათვის საჭირო ამოცანების გადასაჭრელად“.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის საგანს „ელექტრონიკის საფუძვლები“, როგორც ერთ-ერთი დაწყებით საგანს სტუდენტი გაყავს მე-5 და მე-6 შედეგის პირველ - „გაცნობით“ - დონეზე; რაც შეეხება მე-3 შედეგს (ეფექტური კომუნიკაცია აუდიტორიასთან), „გაცნობით“ დონეზე ამ შედეგზე გაყვავართ პროგრამის ძირითად საგნებს, როგორცაა მაგალითად, „ფიზიკა 1“ და „ფიზიკა 2“, რომლებშიც მოაზრებულია ლაბორატორიული სამუშაოების პერიოდული პრეზენტაცია.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები გაწერილია და გაანგარიშებულია მომიჯნავე სპეციალობის პროგრამებზე (ელექტრონული ინჟინერია, ინფორმატიკა), რომელიც წარდგენილი იყო მოთხოვნის შემდეგ საექსპერტო კომისიისთვის. „კომპიუტერული ინჟინერიის“ პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულები მოიაზრება იმავე მაჩვენებლებით, როგორც ეს გაკეთებულია მომიჯნავე სპეციალობის პროგრამებზე. „კომპიუტერული ინჟინერიის“ პროგრამის განხორციელების პროცესში პროგრამის შედეგების სამიზნე ნიშნულები დაზუსტდება პროგრამის სპეციფიკისა და მიმდინარე შედეგების ანალიზის საფუძველზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს რეკომენდაციებს სასწავლო კურსებსა და სილაბუსებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, დამოუკიდებელი მუშაობის საათები შეესაბამება სტუდენტის დატვირთვას. გათვალისწინებულია, რომ სტუდენტს ეძლევა სასწავლო მასალა როგორც თეორიული, ასევე, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლაბორატორიული/პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მასალა, ლიტერატურა, სიმულაციური პროგრამები. სიმულაციური პროგრამებით სწავლება მოითხოვს დიდ დროს.

ამასთან, საგანში „მიკროკონტროლერების დაპროგრამების ტექნოლოგიები“, ლაბორატორიული სამუშაოების თემები გაწერილია სილაბუსებში თითოეული ლექციის მიხედვით.

საგნების „დაპროგრამების საფუძვლები (C++)“, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „კომპიუტერის სტრუქტურული ორგანიზაცია“, „დაპროგრამების ენა Python“ სილაბუსებში მითითებულია, რომ ლაბორატორიული მეცადინეობის თემატიკა იმეორებს შესაბამისი კვირის ლექციის თემატიკას. სალექციო თემატიკები კი სილაბუსებში, ბუნებრივია, გაწერილია. საგნებში „ფიზიკა I“, „ფიზიკა II“, ლაბორატორიული სამუშაოს თემები გაწერილია სილაბუსის იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნება კურსის აღწერას. ყველა სხვა საგანში, რომელთა სილაბუსიც არ შეიცავს ლაბორატორიული თემების ჩამონათვალს, ასეთი დაზუსტება მოხდება.

მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „პრაქტიკის“ კომპონენტისთვის შემუშავებულია ფორმა, რომელსაც ავსებს მენტორი, აძლევს დახასიათებას სტუდენტს და აღწერს მის მიერ შესრულებულ სამუშაოს. პრაქტიკულ კომპონენტში სტუდენტს ჩაეთვლება დასაქმებისას შესრულებული სამუშაო, თუ მენტორის მიერ გაწერილი სამუშაოების სპეციფიკაცია პასუხობს პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციას. პგს საბჭო განიხილავს და აძლევს საბოლოო შეფასებას სტუდენტს.

რაც შეეხება მე-13 რეკომენდაციას, ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო „საბაკალავრო პროექტის“ გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს საბაკალავრო პროექტის მიზნის აღწერას, გაფორმების წესებს, დაშვების წინაპირობებს, პროექტის სტრუქტურის დეტალურ აღწერას, პროექტის შესრულების ეტაპებსა და შესრულების კრიტერიუმებს, რაც მთლიანად პასუხობს სილაბუსის მოთხოვნებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი დატვირთვა განისაზღვრება თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. ვინაიდან პროექტის შესრულება მოიაზრებს (რეალურადაც ასე ხდება) ლაბორატორიებში ინტენსიურ მუშაობას, ამიტომ სამუშაო საათები წინასწარ არ არის განსაზღვრული.

მნიშვნელოვანია ასევე მე-14 რეკომენდაცია, კერძოდ მოცემულ რეკომენდაციაში იგულისხმება სასწავლო კურსებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის არსებობა; არსებობს პროგრამული უზრუნველყოფის, მათ შორის MATLAB-ის ონლაინ უფასო ვერსიები, რომლის გამოყენებაც სტუდენტებისთვის შესაძლებელია (და ხდება კიდევ). შესაბამისი საგნის სწავლებისას სტუდენტები დარეგისტრირდებიან შესაბამის რესურსებზე.

რაც შეეხება მე-15 რეკომენდაციას, უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ზოგადი ხასიათის მემორანდუმები/ხელშეკრულებები, რომელიც მოიაზრებს ასევე სტუდენტებისთვის პრაქტიკის გავლას აღნიშნულ დაწესებულებებში. ვინაიდან ყველა ორგანიზაციას ჰყავს ტექნიკური მომსახურების ჯგუფი, სტუდენტების პრაქტიკების განხორციელება შესაძლებელი ამ ჯგუფების მოთხოვნების მიხედვით. ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტური დასაქმების ცენტრი პერიოდულად აქვეყნებს ვაკანსიებს სხვადასხვა ორგანიზაციებში (რომლებთანაც შესაძლებელია არ იყოს წინასწარ გაფორმებული მემორანდუმი), როგორც სტაჟირების ასევე მუდმივ პოზიციებზე მუშაობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების გარკვეული ნაწილი თავად უნივერსიტეტში გადის პრაქტიკულ სტაჟირებას, უნივერსიტეტის ტექნიკური საჭიროების და პრობლემების მოსაგვარებლად.

ამასთან უნდა აღინიშნოს მე-16 რეკომენდაცია, კერძოდ საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული National instruments დანადგარი კომპიუტერიზირებულია პრგორამული უზრუნველყოფა Labview-ის გამოყენებით და იგი გათვალისწინებულია არასაპროგრამო ამოცანების შესრულებისთვის იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც შეასრულებენ საბაკალავრო პროექტს ან სხვა ტიპის კვლევით პროექტებს.

რაც შეეხება ლაბორატორიებს, წრედთა თეორიის საგნის ლაბორატორიაში გათვალისწინებულია სიმულაციური ამოცანები, რომლის საშუალებითაც მოხდება სხვადასხვა ტიპის წრედების პროექტირება და გათვლა. სასიგნალო პროცესორების ლაბორატორიაში, საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიის მსგავსად ამ ეტაპზე არსებული ლაბორატორიული დანადგარების რაოდენობის გათვალისწინებით კონკრეტული საგნის დაწყებისას ყალიბდება ცხრილი 3-4 სტუდენტისგან შედგენილი ჯგუფებისთვის. რეალურად, ლაბორატორიაში მათ სამუშაო კვირის განმავლობაში ხვდება ასისტენტი, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც ხდება

ექსპერიმენტული სამუშაოს შესრულება. ამასთან, საგნებში „ფიზიკა 1“ და „ფიზიკა 2“ ლაბორატორიული სამუშაოები მიმდინარეობს არაპარალელურ რეჟიმში, ანუ სხვადასხვა ჯგუფი არ აკეთებს ერთსა და იმავე ამოცანას.

მე-19 და მე-20 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი რაც გაწერილია პროგრამების დებულებაში. დებულების მიხედვით, პროგრამისთვის იქმნება ინდივიდუალურად პროგრამის განვითარების საბჭო. აღნიშნული საბჭო აკეთებს როგორც კითხვარების რაოდენობრივ ანალიზს ასევე მის დადარებას სამიზნე ნიშნულებთან. პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ გაანალიზებული და გააზრებული მონაცემების საფუძველზე ხდება პროგრამაში ან სილაბუსებში მოდიფიკაციის განხორციელება. ხსენებული პროცესი განმარტებულია დებულებაში და აღინიშნა ინტერვიუს დროსაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უშუალოდ დასკვნის პროექტში ექსპერტი, აღწერილობით ნაწილში ადასტურებს შიდა ხარისხის მექანიზმების არსებობას, მუშაობასა და გამართულობას. აღწერილობაში მოცემული ტექსტი პირდაპირ მიუთითებს რომ დებულებაში არსებული პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია გამოყენებული და რომ ყველა პროცესი დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება, შესაბამისად მიგაგჩნია, რომ რეკომენდაცია ცოტა სხვა ფორმით უნდა იყოს ფორმულირებული. თუ რეკომენდაციაში წერია, რომ ხარისხის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს დადგენილი მექანიზმების რეალური გამოყენება რა ნაწილში უნდა მოხდეს ამის უზრუნველყოფა ან საჭიროებს მუშაობას ეს არ არის აღწერილობით ნაწილში გაწერილი, პირიქით აღწერილობით ნაწილში ექსპერტები ადასტურებენ მექანიზმების გამართულად მუშაობას.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უნივერსიტეტს გამიზნული აქვს აქტიურად გადაერთოს მოცემული პროგრამისთვის ABET-ის სააკრედიტაციო პროცედურების გავლა. ამ მიზნის მისაღწევად წარმოდგენილი პროგრამის მიზნებიც და შედეგებიც ჩამოყალიბებულია ABET-ის საინჟინრო პროგრამების 2021-2022 წწ კრიტერიუმების მიხედვით, შენარჩუნებულია თანმიმდევრობაცა და შინაარსიც.

ამასთან მე-20 რეკომენდაციის აღწერილობა წინააღმდეგობაში მოდის მე-19 რეკომენდაციის ტექსტის აღწერილობასთან. დასკვნის პროექტში, კერძოდ კი 5.1 სტანდარტის აღწერილობით ნაწილში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არსებობს ხარისხის შიდა მექანიზმები სადაც ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობაა უზრუნველყოფილი და უფრო მეტიც, მითითებულია რომ ამ პროცესის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური: „პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, ასევე ხორციელდება თავად პერსონალის კვლევა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები, რომლის გამოყენება ასევე ხორციელდება ზემოხსენებული პლატფორმის მეშვეობით. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისათვის, განხორციელდა ზემოხსენებული არაპირდაპირი მექანიზმებით შესაბამისი სამიზნე აუდიტორიების კვლევა, რომლის დამადასტურებელი ანგარიშების თან ერთვის თვითშეფასების განაცხადს.

ამასთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილება, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს აკრედიტაციის სტანდარტების ანალიზი, მათი გავლენის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებზე“. შესაბამისად თუ დადასტურდა ყველა შესაძლო პირის ჩართულობა მექანიზმების დონეზე და თუ დასტურა ის გარემოება თუ ვინ ახდენს შიდა ხარისხის პროცესების ადმინისტრირებას, მაშინ გაუგებარია მე-20 რეკომენდაციის შინაარსი, სადაც საუბარია, რომ ხარისხმა უზრუნველყოს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასების მიზნით დადგენილი მექანიზმების გამოყენებით დამსაქმებლების კურსდამთავრებულების და სხვა პირების ჩართულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტაციაში მოცემული იყო, რომ როდესაც სტუდენტი გამოთქვამს სურვილს დასაქმების ადგილზე გაიაროს პრაქტიკა, უნივერსიტეტი ახდენს კონკრეტული სამუშაოს სპეციფიკის შეფასებას და მის შესაბამისობის დადგენას პროგრამის კურიკულუმთან. თუმცა რეგულაციაში გაწერილი არ არის თუ რა ინფორმაციისა თუ დოკუმენტების წარდგენა ევალება სტუდენტს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თუ როგორ რეგულირდება უნივერსიტეტსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობა. ამასთან მნიშვნელოვანია დაზუსტდეს თუ ვინ არის მენტორი, კერძოდ დაწესებულების მხრიდან ხდება აღნიშნულის უზრუნველყოფა თუ დამსაქმებლის მხრიდან. გარდა სამართლებრივი მხარისა ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური მხარეც, კერძოდ ხდება თუ არა დასაქმებულის შესაბამისად ანაზღაურება.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას პრაქტიკის ზოგადი საუნივერსიტეტო რეგულაცია, თუ როგორ უნდა დაწეროს პრაქტიკის ანგარიში. ამასთან აღსანიშნავია საბაკალავრო პროექტის 5.3 ქვეპუნქტი, სადაც გაწერია ჯგუფური 20 ქულიანი შეფასების კომპონენტი, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა იგულისხმება მოცემულ ჯგუფურ პროექტში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც თარიღდება 2007 წლით და გულისხმობს იმას, რომ შეიქმნება საინჟინრო დეპარტამენტი და ამუშავდება საინჟინრო სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და მოკლევადიანი მოსამზადებელი პროგრამები. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ როგორ მოხდება ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში ერთი და იგივე კომპეტენციის დადასტურება, თუკი სტუდენტები სხვადასხვა საკითხებზე არიან პასუხისმგებელი და სხვადასხვა კომპეტენციებს ავლენენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა საბაკალავრო პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბოლოო შეფასება არის 40 ქულიანი რა თქმა უნდა ინდივიდუალურია, ხოლო რაც შეეხება საბოლოო შეფასებამდე პროდუქტის მიტანას, სტუდენტებს გადანაწილებული აქვთ შესაბამისი სამუშაოს მიხედვით, რის საფუძველზეც ხდება შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ფორმა, სადაც დეტალურად არის მოცემული მენტორის ვინაობა, რომელიც დამსაქმებლის მხრიდან გამოიყოფა. მენტორი ახასიათებს სტუდენტს და იღებს ვალდებულებას დეტალურად ჩამოწეროს ის სამუშაოები რაც სტუდენტმა შეასრულა და საბოლოოდ მისცეს შეფასება, თავად განსაზღვრული ფორმის მიხედვით, თუ რა შეასრულა ან არ შეასრულა სტუდენტმა და რა უნარები გამოიმუშავა პრაქტიკის განმავლობაში. მენტორის შერჩევა ხდება დამსაქმებელსა და უნივერსიტეტს შორის შეთანხმების შედეგად. მნიშვნელოვანია, რომ სახელშეკრულებო პირობებში განისაზღვრება ფინანსური ნაწილიც.

პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ პრაქტიკა პროგრამის მიხედვით არის არა სავალდებულო, არამედ არჩევითი კურსი, შესაბამისად, ის სტუდენტები, რომლებიც არიან დასაქმებულები, ხშირ შემთხვევაში მოცემულ კურსს არ იღებენ. პრაქტიკა არ არის პროგრამის ძირითადი სასწავლო კომპონენტი, რაც გააზრებულად იქნა განსაზღვრული იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ორიენტირებულია მისცეს სტუდენტს მაქსიმალური ცოდნა, რომ შემდგომ იგი არა მარტო საწარმოში დასაქმდეს, არამედ იყოს თვითდასაქმებული და სამომავლოდ შექმნას თავისი კომპანიაც კი. რაც შეეხება ფორმას, აღნიშნული დოკუმენტებთან ერთად იქნა წარმოდგენილი და არის ფორმა, რომელსაც მენტორი ავსებს დამსაქმებლის მხრიდან. რაც შეეხება პროექტს, აღნიშნული მოიაზრებს ჯგუფურ მუშაობასაც, რაც შეიძლება იყოს ერთი თემის გარშემო ერთობლივად საკითხის დამუშავება, ამ კომპონენტში მოიაზრება ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარება. შესაბამისად, პროექტი იძლევა როგორც

ჯგუფური ასევე ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობას. რაც შეეხება ჯგუფური მუშაობის დროს შეფასების საკითხს, მოცემულ შემთხვევაში ფასდება პროდუქტი და გამოყოფილია შეფასების კომპონენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მემორანდუმთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დოკუმენტი საკმაოდ ძველია, თუმცა დაწესებულებამ რამდენიმე საინჟინრო პროგრამა გაიტანა აკრედიტაციაზე დამოუკიდებლად, ტექნიკური უნივერსიტეტის რესურსების გამოუყენებლად. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საბაკალავრო პროექტი არის კომპლექსური პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი მთელ წინარე ცოდნას იყენებს, როგორც თეორიულს ასევე პრაქტიკულს. ამოცანების განაწილება არ ხდება გამიჯნულად, თითოეულ სტუდენტს გააზრებული აქვს ყველა კომპონენტი. შეფასება ხდება პრეზენტაციის დროს, როდესაც თითოეული სტუდენტი წარმოადგენს თავის ნაწილს, თუმცა მიუხედავად ამისა სტუდენტები ერთიანად უყურებენ პროექტს და ცხადია ერკვევიან პროექტის თითოეულ დეტალში. პროექტით ხდება გამჭოლი უნარების ადა არა პროფესიული უნარების დადასტურება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:30

დასრულების დრო: 16:00

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ, 2.1 ქვესტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ამ ცვლილებას არ გამოუწევია მთლიანად მეორე სტანდარტის ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება: „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს კომპიუტერულ ინჟინერიაზე (შესაბამისი ტერმინოლოგიური ჩანაცვლებით).
2. სწავლის შედეგების რუკა გაიწეროს ისე, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე განვითარდეს.

3. „კომპიუტერული ინჟინერიის“ პროგრამის თითოეული შედეგისათვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურები;
4. იმ სილაბუსებში, რომელიც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი რუკით გადის პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპეტენციაზე, გაიწეროს ეს კომპეტენციები და მეთოდები, რომლის საშუალებითაც განხორციელდება აღნიშნული შედეგის გაზომვა.
5. პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსად დაემატოს „დაპროგრამების ენა Python“, რომელიც ამ ეტაპზე შემოთავაზებულია არჩევით საგანთა ნუსხაში.
6. პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსს დაემატოს „ინფორმაციული უსაფრთხოების“ სასწავლო კურსი.
7. სასწავლო კურსს „სიგნალების დამუშავება“ წინაპირობად განესაზღვროს მათემატიკაც.
8. სასწავლო კურსს „სასიგნალო პროცესორები“ წინაპირობად განესაზღვროს ციფრული ტექნიკის საფუძვლების და პროგრამირების ცოდნა.
9. სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან მაგ. დაემატოს დავალებები, პრეზენტაციები და სხვა.
10. სასწავლო კურსებში: „დაპროგრამების საფუძვლები (C++)“, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „კომპიუტერის სტრუქტურული ორგანიზაცია“, „მიკროკონტროლერების დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „ფიზიკა I“, „ფიზიკა II“, „წრედთა თეორია I“, „დაპროგრამების ენა Python“ და სხვა, აისახოს შესაბამისი ლაბორატორიული მეცადინეობის თემატიკა;
11. შემუშავდეს „პრაქტიკის“ კომპონენტის სილაბუსი;
12. შემუშავდეს „საბაკალავრო პროექტის“ სილაბუსი ან არსებულ დოკუმენტში ჩაიწეროს საკონტაქტო და დამოუკიდებელი დატვირთვა, სასწავლო კურსის შედეგები, საკონტაქტო ლექციების თემატიკა და ა.შ.
13. რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაფორმდეს ხელშეკრულებები/მემორანდუმები და ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას. პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად გაიწეროს რა შემთხვევაში. ჩაეთვლება დასაქმებისას შესრულებული სამუშაო სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში.
14. რეკომენდებულია ინსტიტუციამ შეიმუშაოს პროგრამის ან/და საუნივერსიტეტო რეგულაციის სახით საწარმოო/პროფესიული პრაქტიკისა და პრაქტიკის ანგარიშის შესრულების ინსტრუქცია და წესი.
15. აუცილებელია საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის (National instruments) კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (Labview). ასევე აღიჭურვოს National instruments-ის მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტი.
16. წრედთა თეორიის ლაბორატორია აღიჭურვოს მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტით.
17. სასიგნალო პროცესორების ლაბორატორია აღიჭურვოს მინიმუმ ხუთი სამუშაო ბორდით.
18. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფისათვის დადგენილი მექანიზმების რეალურად გამოყენება და შესაბამისი მონაცემების შეგროვება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიიდან, შემდგომში კი მათი ანალიზი, ასევე დადარება პროგრამისათვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან და ანალიტიკის შედეგების გამოყენება შემდგომი გადაწყვეტილებების დაგეგმვისა და აღსრულებისათვის, პროგრამის განვითარების ფარგლებში.
19. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით დადგენილი მექანიზმების გამოყენებით, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვებისა და შეფასებების მიღება, აღნიშნული პროცესის კოორდინირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, პასუხისმგებელი პირების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით.

2. მეორესაკითხი : შპს საქართველოს უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №77ა, 0171 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ კი

თვითაცხადება განაცხადა - ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანმა და ირინა გველესიანმა საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორესაკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 5 სექტემბერს. 1 სექტემბერს განხორციელდა წინა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება. 2021 წლის 1 სექტემბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან. განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც საბოლოო დასკვნაზე მუშაობის პროცესში გაზიარებული არ იქნა. თუმცა 5.1 სტანდარტის აღწერილობით ნაწილში დაზუსტდა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და დაემატა არგუმენტაცია.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარემსაბჭოსგააცნოდასკვნაშიდაფიქსირებულირეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს კომპიუტერულ ინჟინერიაზე (შესაბამისი ტერმინოლოგიური ჩანაცვლებით).
2. სწავლის შედეგების რუკა გაიწეროს ისე, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე განვითარდეს.
3. „კომპიუტერული ინჟინერიის“ პროგრამის თითოეული შედეგისათვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურები
4. სილაბუსებში, რომელიც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი რუკით გადის პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპეტენციაზე, გაიწეროს ეს კომპეტენციები და მეთოდები, რომლის საშუალებითაც განხორციელდება აღნიშნული შედეგის გაზომვა.
5. პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსად დაემატოს „დაპროგრამების ენა Python“, რომელიც ამ ეტაპზე შემოთავაზებულია არჩევით საგანთა ნუსხაში.
6. პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსს დაემატოს „ინფორმაციული უსაფრთხოების“ სასწავლო კურსი.
7. სასწავლო კურსს „სიგნალების დამუშავება“ წინაპირობად განესაზღვროს მათემატიკაც.

8. სასწავლო კურსს “სასიგნალო პროცესორები” წინაპირობად განესაზღვროს ციფრული ტექნიკის საფუძვლების და პროგრამირების ცოდნა.
9. სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან მაგ. დაემატოს დავალებები, პრეზენტაციები და სხვა.
10. სასწავლო კურსებში: „დაპროგრამების საფუძვლები (C++)“, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „კომპიუტერის სტრუქტურული ორგანიზაცია“, „მიკროკონტროლერების დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „ფიზიკა I“, „ფიზიკა II“, “წრედთა თეორია I”, “დაპროგრამების ენა Python” და სხვა, აისახოს შესაბამისი ლაბორატორიული მეცადინეობის თემატიკა;
11. შემუშავდეს „პრაქტიკის“ კომპონენტის სილაბუსი და დეტალურად გაიწეროს რა შემთხვევაში ჩათვლება დასაქმებისას შესრულებული სამუშაო სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში.
12. შემუშავდეს „საბაკალავრო პროექტის“ სილაბუსი ან არსებულ დოკუმენტში ჩაიწეროს საკონტაქტო და დამოუკიდებელი დატვირთვა, სასწავლო კურსის შედეგები, საკონტაქტო ლექციების თემატიკა და ა.შ.
13. დროულად განხორციელდეს სასწავლო ლაბორატორიების უზრუნველყოფა პროგრამული უზრუნველყოფით.
14. პრაქტიკის ობიექტებთან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაფორმდეს ხელშეკრულებები/მემორანდუმები და ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას.
15. პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა ინგლისურენოვანი ადამიანური რესურსის მოძიება.
16. აუცილებელია საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის (National instruments) კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (Labview). ასევე აღიჭურვოს National instruments–ის მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტით.
17. წრედთა თეორიის ლაბორატორია აღიჭურვოს მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტით.
18. სასიგნალო პროცესორების ლაბორატორია აღიჭურვოს მინიმუმ ხუთი სამუშაო ბორდით.
19. დაწესებულებამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფისათვის დადგენილი მექანიზმების რეალურად გამოყენება და შესაბამისი მონაცემების შეგროვება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიიდან, შემდგომში კი მათი ანალიზი, ასევე დადარება პროგრამისათვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან და ანალიტიკის შედეგების გამოყენება შემდგომი გადაწყვეტილებების დაგეგმვისა და აღსრულებისათვის, პროგრამის განვითარების ფარგლებში.
20. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, კოორდინირებას უწევდეს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებულ საქმიანობას.
21. დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით დადგენილი მექანიზმების გამოყენებით, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვებისა და შეფასებების მიღება, აღნიშნული პროცესის კოორდინირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, პასუხისმგებელი პირების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ საკითხი აკადემიური პერსონალის კომპეტენციასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოცემულ საკითხზე წარმოდგენილია რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგლისურენოვან აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განმარტა, რომ როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამა წარმოდგენილია ერთი და იმავე აკადემიური პერსონალით. აკადემიური პერსონალთან გასაუბრების დროს 6 პერსონალიდან მხოლოდ ერთმა განაცხადა, რომ ჩართული იქნებოდა ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში, თუმცა უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პერსონალის მითითებულია როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან პროგრამაზე. აქედან გამომდინარე, განისაზღვრა რეკომენდაცია. რაც შეეხება დამსაქმებლების საკითხს, მათ საერთოდ არ იცოდნენ რომ კეთდებოდა ინგლისურენოვანი პროგრამა. დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ სილაბუსებისა და შინაარსობრივ დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინტერვიუს პროცესში წარმოდგენილი იყო როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი ადამიანური რესურსი. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების წესის მიხედვით, საგანს ჰყავს კურატორი, რომელიც განსაზღვრავს საგნის სწავლების სპეციფიკას, რესურსებს, მეთოდებსა და სტრუქტურას. რეალურად, კურატორის გარდა საგანზე დარეგისტრირებულ ჯგუფთან შეიძლება იმუშაოს მოწვეულმა პერსონალმა, რომელიც ხელმძღვანელობს დამტკიცებული სილაბუსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებს აქვთ საკმარისი ენობრივი და დარგობრივი კომპეტენცია, რათა წარმატებით გაუძღვნენ როგორც მათზე გაწერილ საგნებს, ასევე საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე საგნებს.

ამასთან, რომ არსებობს ხარისხის შიდა მექანიზმები სადაც ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობაა უზრუნველყოფილი და უფრო მეტიც, მითითებულია რომ ამ პროცესის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, ასევე ხორციელდება თავად პერსონალის კვლევა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები, რომლის გამოყენება ასევე ხორციელდება ზემოხსენებული პლატფორმის მეშვეობით. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისათვის, განხორციელდა ზემოხსენებული არაპირდაპირი მექანიზმებით შესაბამისი სამიზნე აუდიტორიების კვლევა, რომლის დამადასტურებელი ანგარიშების თან ერთვის თვითშეფასების განაცხადს. ამასთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილება, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს აკრედიტაციის სტანდარტების ანალიზი, მათი გავლენის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებაში (ძირითადი დარგობრივი საგნები) მონაწილეობს 9 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 20 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენციები, რაც დასტურდება მათი აკადემიური გამოცდილებით და ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და ქართულ და უცხოურ გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. აკადემიური პერსონალის შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სამეცნიერო საქმიანობა, რაც ხელფასის გარკვეულ პროცენტულ ოდენობას შეესაბამება. შესაბამისად აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში მოიაზრება როგორც აკადემიური მოღვაწეობა, ასევე კვლევითი საქმიანობა და სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა (თემის ხელმძღვანელობა). გასაუბრების დროს აკადემიური პერსონალი მხრიდან ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართულობის მზაობა არ გამოვლინდა. ინგლისურად დასმულ შეკითხვაზე გვიპასუხა მხოლოდ ერთმა ლექტორმა. ამ ინფორმაციაზე ხარისხის სამსახურის უფროსის პასუხი იყო რომ ის ინგლისურად შეკითხვებს არ სვამს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალი რომელიც წარმოადგინა უსდ-მ იდენტურია ორივე პროგრამისთვის. უსდ-მ დამატებით გამოგზავნა იმ ლექტორების სია, რომლებიც მიიღებენ ინგლისურენოვან პროგრამაში მონაწილეობას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მათთან გასაუბრების შესაძლებლობა არ ჰქონია.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დოკუმენტები და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები იდენტურია უსდ-ს ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამისა. როგორც მეოთხე სტანდარტის აღწერისას აღინიშნა, ინტერვიუზე წარმოდგენილ პერსონალს არ დაუდასტურებია ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს პროცესში, მათ განაცხადეს, რომ ადამიანური რესურსის მოძიებასა და კომპეტენციების შემოწმებაზე ზრუნავს ადამიანური რესურსების სამსახური. ამასთან, ექსპერტმა ჯგუფს ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაურების შესაძლებლობა არ ჰქონია. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, ხარისხის სამსახური კოორდინაციას უწყვედეს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის მობილიზებასა თუ შემოწმებას იმის გათვალისწინებით, რომ შიდა რეგულაციების თანახმად, მის ერთ-ერთ ფუნქციას პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი წარმოადგენს. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით დგინდება, რომ უნივერსიტეტში 35 შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები იმისათვის, რომ პროგრამების განხორციელების პროცესი უზრუნველყოფილ იქნეს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობით. თუმცა საჭიროა, რომ ხარისხის სისტემა მუშაობდეს უნივერსიტეტის ყველა, მათ შორის, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისათვის. დაწესებულებას ყველა რესურსი გააჩნია იმისათვის, რომ წარმართოს პროგრამის განვითარების შეუფერხებელი პროცესი. თუმცა ამისათვის საჭიროა, რომ ყველა ის მექანიზმი, რაც შიდა რეგულაციებით დადგენილია, ასევე მუშაობდეს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისათვის პრაქტიკაში.

ამასთან, დამსაქმებლები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში მხოლოდ კურიკულუმის შედგენის დონეზე. დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ნაკლებად იცნობდნენ პროგრამის სწავლის შედეგებს და ჩართულნი იყვნენ მხოლოდ კურსების შემუშავებაში. მათი რეკომენდაციით განხორციელდა ელექტორნიკა და მიკროკონტროლერების ცონის გაღრმავება, ასევე პროგრამაში დაემატა კიბერუსაფრთხოება. როგრამის შემუშავებაში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფი იგივე შემადგენლობა, რომელიც ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის შემუშავებისას მონაწილეობდა და რომელშიც შედიოდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მოწვეული ლექტორები, სტუდენტი და დამსაქმებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ იცნობენ ინგლისურენოვან პროგრამას. მათ მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის შინაარსის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფილი იქნა დამსაქმებლების ჩართულობა, აღნიშნული სრულად არ პასუხობს აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არის პროგრამების განვითარების საბჭო, რომელიც კითხვარების მეშვეობით სხვადასხვა დამსაქმებლებისგან იღებს აუცილებელ და საჭირო ინფორმაციას, რომლის შინაასრობრივ ანალიზს შემდგომ საბჭოს აკეთებს. ანუ არიან ადამიანები რომლებაც რაოდენორივ ნაწილში მიიღებს მონაწილეობა და ნაწილმა შინაარსს დამუშავებაში, ეს არის დაწესებულების მექანიზმი, რომლის განსაზღვრაში უნივერსიტეტი თავისუფალია. რა თქმა უნდა იქნება სტუდენტი ან დამსაქმებელი რომელიც პროგრამის განვითარების საბჭოს წევრი იყო და უფრო ფართოხ იყო დოკუმენტებთან კავშირში და დიდი ნაწილი, რომელიც რაოდენობრივ კვლევებში იღებდა მონაწილეობას. აღნიშნული წარმომადგენს ერთ-ერთ ინსტრუმენტს არსაც ასევე 5.3 კომპონენტიც ადასტურებს. დასკვნის პროექტში, კერძოდ კი 5.1 სტანდარტის აღწერილობით ნაწილში ექსპერტები აღნიშნავენ, კომპეტე შესაბამისად თუ დადასტურდა ყველა შესაძლო პირის ჩართულობა მექანიზმების დონეზე და თუ დასტურა ის გარემოება თუ ვინ ახდენს შიდა ხარისხის პროცესების ადმინისტრირებას, მაშინ გაუგებარია 21-ე რეკომენდაციის შინაარსი, სადაც საუბარია, რომ ხარისხმა უზრუნველყოს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შრფასების მიზნით

დადგენილი მექანიზმების გამოყენებით დამსაქმებლების კურსდამთავრებულების და სხვა პირების ჩართულობა, შესაბამისად, რეკომენდაცია წინააღმდეგობრივია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ზოგადი ხასიათის მემორანდუმები/ხელშეკრულებები, რომელიც მოიაზრებს ასევე სტუდენტებისთვის პრაქტიკის გავლას აღნიშნულ დაწესებულებებში. ვინაიდან ყველა ორგანიზაციას ჰყავს ტექნიკური მომსახურების ჯგუფი, სტუდენტების პრაქტიკების განხორციელება შესაძლებელი ამ ჯგუფების მოთხოვნების მიხედვით. ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტური დასაქმების ცენტრი პერიოდულად აქვეყნებს ვაკანსიებს სხვადასხვა ორგანიზაციებში (რომლებთანაც შესაძლებელია არ იყოს წინასწარ გაფორმებული მემორანდუმი), როგორც სტაჟირების ასევე მუდმივ პოზიციებზე მუშაობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების გარკვეული ნაწილი თავად უნივერსიტეტში გადის პრაქტიკულ სტაჟირებას, უნივერსიტეტის ტექნიკური საჭიროების და პრობლემების მოსაგვარებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ინგლისურენოვან სილაბუსებში მოცემულია რამდენიმე ქართულენოვანი ლიტერატურა. შესაბამისად, თუ ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩაირიცხა უცხოელი სტუდენტი როგორც მიაღწევს სწავლის შედეგებს, თუ იხელმძღვანელებს მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურით. აღნიშნული სავარაუდოდ გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სილაბუსი ავტორები არიან ქართულენოვანი პროგრამის განამახორციელებლები, რომლებსაც არ აქვთ ინგლისურენოვანი კომპეტენცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სრულიად იზიარებს საბჭოს მოსაზრებას. პერსონალთან გასაუბრების დროს, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მცირე ნაწილმა დაადასტურა ინგლისურენოვან პროგრამაში ჩართულობა, უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ისინი არიან სილაბუსების კურატორები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოების ავტორები კურირებენ სილაბუსებს და სრულიად შესაძლებელია, რომ ერთი პირის მიერ შედგენილი კურსი წაიკითხოს სხვა ლექტორმა.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურა მოცემულია დამატებითი ლიტერატურის სახით, რამდენიმე სილაბუსში, ძირითადად მოცემულია ყოველთვის ერთი და ქართული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქართულენოვან პროგრამაში ზუსტად ეგრე არის მოცემული თუმცა არა ინგლისურენოვანში.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით ადამიანური რესურსები შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ. რაც შეეხება სილაბუსებს, ინგლისურენოვან სილაბუსებში ნამდვილად არის ქართული ლიტერატურა მითითებული, რაც არ უნდა იყოს. გამომდინარე, აქედან თუ ასეთი პრობლემა რატომ არის საკითხი შეფასებული როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შეხვედრის დროს საუბარი იყო გარკვეულ უზუსტობებზე, რაც შემდგომ დასკვნაში არ იქნა მითითებული. მაგალითად, თვითშეფასებაშიც კი იყო ქართულ პროგრამაში ინგლისური პროგრამის წინაპირობები გადატანილი, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ იყო უბრალოდ ტექნიკური შეცდომა. რაც შეეხება მეტწილად შესაბამისობას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აქვს იმის რესურსი, რომ ინგლისურად წაიკითხოს და ინგლისურენოვანი პროგრამა განახორციელოს, სწორედ აქედან გამომდინარე იქნა დადგენილი მეტწილად შესაბამისობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:40

დასრულების დრო: 17:00

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ, 2.3 ქვესტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ამ ცვლილებას არ გამოუწევია მთლიანად მეორე სტანდარტის ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“¹ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2026 წლის 31 დეკემბრამდე 2 წელში მონიტორინგის განორციელების უფლებით.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს კომპიუტერულ ინჟინერიაზე (შესაბამისი ტერმინოლოგიური ჩანაცვლებით).
2. სწავლის შედეგების რუკა გაიწეროს ისე, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე განვითარდეს.
3. „კომპიუტერული ინჟინერიის“ პროგრამის თითოეული შედეგისათვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურები;
4. სილაბუსებში, რომელიც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი რუკით გადის პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპეტენციაზე, გაიწეროს ეს კომპეტენციები და მეთოდები, რომლის საშუალებითაც განხორციელდება აღნიშნული შედეგის გაზომვა.
5. პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსად დაემატოს „დაპროგრამების ენა Python“, რომელიც ამ ეტაპზე შემოთავაზებულია არჩევით საგანთა ნუსხაში.
6. პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსს დაემატოს „ინფორმაციული უსაფრთხოების“ სასწავლო კურსი.
7. სასწავლო კურსს „სიგნალების დამუშავება“ წინაპირობად განესაზღვროს მათემატიკაც.
8. სასწავლო კურსს „სასიგნალო პროცესორები“ წინაპირობად განესაზღვროს ციფრული ტექნიკის საფუძვლების და პროგრამირების ცოდნა.
9. სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან მაგ. დაემატოს დავალებები, პრეზენტაციები და სხვა.
10. სასწავლო კურსებში: „დაპროგრამების საფუძვლები (C++)“, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „კომპიუტერის სტრუქტურული ორგანიზაცია“, „მიკროკონტროლერების დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „ფიზიკა I“, „ფიზიკა II“, „წრედთა თეორია I“, „დაპროგრამების ენა Python“ და სხვა, აისახოს შესაბამისი ლაბორატორიული მეცადინეობის თემატიკა;

11. შემუშავდეს „პრაქტიკის“ კომპონენტის სილაბუსი;
12. შემუშავდეს „საბაკალავრო პროექტის“ სილაბუსი ან არსებულ დოკუმენტში ჩაიწეროს საკონტაქტო და დამოუკიდებელი დატვირთვა, სასწავლო კურსის შედეგები, საკონტაქტო ლექციების თემატიკა და ა.შ.
13. დროულად განხორციელდეს სასწავლო ლაბორატორიების უზრუნველყოფა პროგრამული უზრუნველყოფით.
14. რეკომენდებულია ინგლისურენოვან პროგრამაში ცალკეულ სილაბუსებში სადაც სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ქართულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურით, სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევის მიზნით.
15. რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაფორმდეს ხელშეკრულებები/მემორანდუმები და ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას. პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად გაიწეროს რა შემთხვევაში ჩაეთვლება დასაქმებისას შესრულებული სამუშაო სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში.
16. რეკომენდებულია ინსტიტუციამ შეიმუშაოს პროგრამის ან/და საუნივერსიტეტო რეგულაციის სახით საწარმოო/პროფესიული პრაქტიკისა და პრაქტიკის ანგარიშის შესრულების ინსტრუქცია და წესი.
17. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია დაზუსტდეს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და სწავლების ენასთან.
18. აუცილებელია საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის (National instruments) კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (Labview). ასევე აღიჭურვოს National instruments–ის მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტით.
19. წრედთა თეორიის ლაბორატორია აღიჭურვოს მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტით.
20. სასიგნალო პროცესორების ლაბორატორია აღიჭურვოს მინიმუმ ხუთი სამუშაო ბორდით.
21. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფისათვის დადგენილი მექანიზმების რეალურად გამოყენება და შესაბამისი მონაცემების შეგროვება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიიდან, შემდგომში კი მათი ანალიზი, ასევე დადარება პროგრამისათვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან და ანალიტიკის შედეგების გამოყენება შემდგომი გადაწყვეტილებების დაგეგმვისა და აღსრულებისათვის, პროგრამის განვითარების ფარგლებში.
22. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, კოორდინირებას უწევდეს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული საქმიანობას.
23. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით დადგენილი მექანიზმების გამოყენებით, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვებისა და შეფასებების მიღება, აღნიშნული პროცესის კოორდინირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, პასუხისმგებელი პირების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით.

3.მესამესაკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 28 სექტემბრის №989765 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დამზების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭო სწევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა- ირინა ლობჯანიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“ აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წლის 28 სექტემბერს გადაწყვეტილების შესაბამისად და გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრათ 1-წლიანი ვადა, 2022 წლის 14 სექტემბრამდე. დაწესებულებამ დადგინდა ვადებში წარმოადგინა შესაბამისი ანგარიში, სადაც აღწერილია 8 რეკომენდაციის საკითხზე გატარებული ღონისძიებები. რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 9 წევრისგან.

პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები, დაგეგმა შესაბამისი პროცესები რეკომენდაციების შესასრულებლად. მოხდა პროგრამის შესაბამისი დოკუმენტების განახლება და ფაკულტეტის საბჭოზე შეტანილი ცვლილებების განხილვა/დამტკიცება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაკორექტირდეს წინაპირობის ჩანაწერი და მიეთითოს ენობრივი კომპეტენციის დონე B1+, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ენობრივ კომპეტენციას B1.2 და B1 დონეებს შორის.
2. რეკომენდირებულია „სამაგისტრო ნაშრომში“ დაკორექტირდეს დამშვების წინაპირობები, ამოღებულ იქნას სასწავლო კურსი „საწარმოო პრაქტიკა“.
3. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, საათების თანაფარდობა და შესაბამისობაში მოვიდეს კურსით განსაზღვრულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „დედამიწის გეოლოგიური ისტორია“ შესაბამისობაში მოვიდეს კურსის დასახელება და შინაარსი; გათვალისწინებულია სათაური დაკორექტირდა - დედამიწის ისტორია“
6. რეკომენდებულია დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების დაშეთანხმებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკაზე სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას და ჩასატარებელი სამუშაოების ხანგრძლივობა
7. რეკომენდებულია, რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები ან/და რუბრიკები უფრო დეტალიზებული და გაზომვადი გახდეს;
8. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების, დაცვის და ციტირების უნიფიცირებული წესის დაცვა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოხდა თითოეული რეკომენდაციის შესრულება და შესაბამისი ცვლილებების გატარება.

რეკომენდაციის შესაბამისად, განახლდა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, ასევე სასწავლო პროგრამის კურსების კატალოგი და დაკორექტირდა დამშვების წინაპირობა შემდეგი სახით: სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კურსი, „საწარმოო პრაქტიკის“ გარდა.

ასევე მოხდა სასწავლო კურსების შედეგების გადახედვა და რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების კორექტირება მათი გაზომვადობის გაზრდის მიზნით. ასეთებია: გეოსაინფორმაციო სისტემების სიდრმისეული ასპექტები, ბუნებრივი საფრთხეების რისკის შეფასება, დედამიწის სისტემები და გარემო, გლობალური ტექტონიკა და გეოდინამიკა, კვლევის მეთოდები

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, ლითოლოგია/სედიმენტოლოგია, მათემატიკური მოდელირება და პროგრამირება დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისთვის, პეტროლოგია, დედამიწის ისტორია.

უმალეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია პარტნიორ ორგანიზაციებთან მემორანდუმების განახლების შესახებ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ პარტნიორ ორგანიზაციებთან („გამა კონსალტინგი“, „გეოგრაფიკი“, „ტერაგრაფიკი“) დადებული მემორანდუმებისთვის მოამზადა დანართები, სადაც განსაზღვრულია სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა რომელსაც მიიღებს პარტნიორი ორგანიზაცია საწარმოო პრაქტიკის გასავლელად და ის განისაზღვრა თითოეულ მემორანდუმში 10 – 12 სტუდენტით.

რიგ სასწავლო კურსებში მოხდა შეფასების კრიტერიუმების ან/და რუბრიკების დამატებითი დეტალიზაცია. ასეთი სასწავლო კურსებია: გეოსაინფორმაციო სისტემების სიღრმისეული ასპექტები, ბუნებრივი საფრთხეების რისკის შეფასება, დედამიწის სისტემები და გარემო, გლობალური ტექტონიკა და გეოდინამიკა, კვლევის მეთოდები დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, ლითოლოგია/სედიმენტოლოგია, პეტროლოგია, დედამიწის ისტორია, დისტანციური ზონდირება

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:20

დასრულების დრო: 17:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

4.მეოთხე საკითხი : შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “სტომატოლოგიის” ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25. 05. 2018. გადაწყვეტილება №67
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა # 73 , ნამალაღვის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 1, 0141 , საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ვლადიმერ მარგველაშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა განახორციელა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე „სტომატოლოგია“ არაგემიური მონიტორინგი პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა ცენტრში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგია“ შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში თანდართლ დოკუმენტებთან ერთად (პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები). პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ

წარმოდგენილი შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართლი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. შეფასება განხორციელდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “სტომატოლოგიის” ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველის სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

2018 წლის რეაკრედიტაციის შემდეგ, გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა ჯგუფისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები. გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, შეიქმნა მოდულები, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას დაეუფლოს მომავალ პროფესიას და მინიჭებული კვალიფიკაციით განაგრძოს პროფესიული ზრდა როგორც რეზიდენტურაში, ისე – სამეცნიერო მიმართულებით დოქტორანტურაში.

სპეციალობის უმეტეს კლინიკურ საგნებში დაემატა პრაქტიკული გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შეფასება გაიწერა დეტალურად, ფასდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტი. შეიქმნა შეფასების ფურცლები, სადაც დეტალურად არის აღწერილი, რომელი კომპეტენციის შეფასება ხდება და როგორ არის ქულობრივად გადანაწილებული.

ამასთან, პაროდონტოლოგიის სასწავლო კურსი დაიყო სამ სასწავლო კურსად: პრეკლინიკური პაროდონტოლოგია, კლინიკური პაროდონტოლოგია და პაროდონტის დაავადებათა ქირურგიული მკურნალობა. მოდიფიცირდა ამ სასწავლო კურსების შინაარსი, მიზნები და შედეგები. შესაბამისად შეიცვალა კრედიტების რაოდენობაც.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციდან და თანდართული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ აღნიშნული პროგრამის მესვეურები მუდმივად მუშაობენ პროგრამის განახლებაზე, ლიტერატურის მოძიებაზე და სტუდენტებისთვის განახლებული სასწავლო მასალის შეთვალაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფისთვის მისდებია პროგრამის მუდმივი განახლებადი ტენდენციები, თუმცა რჩევა ლიტერატურის მუდმივად განახლების თაობაზე მუდმივი პროცესია, რომელიც სულ უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერმა უნივერსიტეტმა, ნებისმიერი პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დავალებით, დღეს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ყოველი ახალი სემესტრის დაწყებამდე ვალდებულია, მისი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, განახლოს სილაბუსი / სილაბუსები, მათ შორის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამა უნივერსიტეტმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 31 მარტს წარმოადგინა. რა თქმა უნდა, მას შემდეგ სილაბუსებში ლიტერატურა განახლდა, თუმცა, კანონმდებლობით უნივერსიტეტს განახლებული სილაბუსების წარმოდგენის უფლება აღარ ქონდა. ცხადია ამან განაპირობა ექსპერტთა რეკომენდაციაც ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, რამეთუ მათ აღარ ქონდათ საშუალება 2021 და 2022 წლის გამოცემებით განახლებული ჩვენი სილაბუსების შეფასებისა. გარდა ამისა, ეს მუდმივი პროცესია, რომელიც სულ უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი უნივერსიტეტმა, ნებისმიერი პროგრამის ფარგლებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:00

დასრულების დრო: 18:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: : შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

სხდომა დახურულად გამოცხადდა - 18:10 სთ.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭო

საბჭოს მდივანი

ტეფნაძე დავით

